

ECE/MP.PP/2005/2/Add.4

8 ივნისი 2005

ორიგინალი: ინგლისური, ფრანგული, რუსული

## გაერო

### ეკონომიკური და სოციალური საბჭო

### გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის

გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მხარეების შეხვედრა

## მხარეების მეორე შეხვედრის ანგარიში

### დანართი

### გადაწყვეტილება II/3

### ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების და ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მექანიზმის შესახებ

მიღებულია მხარეთა მეორე შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ალმათში, ყაზახეთი, 2005 წლის 25-27 მაისს

#### შეხვედრა,

აღნიშნავს რა კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას თითოეული მხარის მიმართ, რომ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში უზრუნველყოს ხელისუფლების ორგანოების მიერ გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების პროცედურის გამჭვირვალობა და ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობა,

ასევე, აღნიშნავს რა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას თითოეული მხარის მიმართ, რომ უზრუნველყოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მოცულობის თანდათანობითი ზრდა, რაც, ხელს შეუწყობს საზოგადოებას ინფორმაციის უფრო ადვილად მოპოვებაში ტელეკომუნიკაციური ქსელების მეშვეობით,

ხაზგასმით აღნიშნავს რა ისეთი ელექტრონული საშუალებების გამოყენების გახშირებას, როგორც ვებ-სერვისები, მონაცემთა ბაზები და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT), თუმცა განსხვავებულ პირობებში და რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად ასევე გამოიყენება კომუნიკაციის ტრადიციული საშუალებები,

აღნიშნავს რა ინფორმაციული საზოგადოების შესახებ მსოფლიო სამიტის პირველი ფაზის შედეგებს, კერძოდ, პრინციპების დეკლარაციას, რომელიც აღიარებს ICT პროგრამების პოტენციურ მნიშვნელობას გარემოს დაცვაში და ბუნებრივი რესურსების მართვაში; ასევე, სამოქმედო გეგმას, რომელიც ხელს უწყობს მთავრობებს სხვადასხვა საკომუნიკაციო რესურსების, განსაკუთრებით ინტერნეტის საშუალებით, უზრუნველყონ სათანადო წვდომა ოფიციალურ საჯარო ინფორმაციაზე და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით გამოიყენონ და მხარი დაუჭირონ ICT-ს, როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების

ინსტრუმენტს,

იღებს რა გადაწყვეტილებას სამიტის პირველი ეტაპის იმ დასკვნების პრაქტიკაში განხორციელების შესახებ, რომლებიც ეხება გარემოსდაცვითი დემოკრატიის პოპულარიზაციას,

აღიარებს რა, რომ ICT-ს განვითარებას თან უნდა სდევდეს შესაბამისი ცვლილებები საკანონმდებლო და / ან ინსტიტუციონალურ დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების მიერ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობის უფლებების შესაბამისი გარანტიები,

ასევე აცნობიერებს რა ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენების მნიშვნელობას საზოგადოებისთვის იმ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც ეხება გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, ამ პროცედურებში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით,

მიესალმება რა ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების შესახებ სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეულ შრომას,

ასევე, მიესალმება რა ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მექანიზმის შექმნას და UNECE-ს ორჰუსის გარემოსდაცვითი დემოკრატიის მექანიზმის ამოქმედებას, გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მეათე პრინციპის და კონვენციის განხორციელების მხარდასაჭერად,

ითვალისწინებს რა სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრაზე გამოვლენილ 4 პრიორიტეტულ თემას:

- (a) ICT-ის გამოყენება გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- (b) საინფორმაციო ცენტრების დაარსება, როგორც ვირტუალურ ისე ფიზიკურ გარემოში;
- (c) სტრატეგიების განსაზღვრა ინფორმაციის აქტიურად გადაცემის და გავრცელების მიზნით;
- (d) ინტერნეტზე წვდომის იურიდიული, ფინანსური და ტექნოლოგიური ბარიერების გადალახვა,

1. იღებს რეკომენდაციებს, რომლებიც ერთვის აღნიშნულ გადაწყვეტილებას, როგორც სავალდებულო იურიდიული ძალის არ მქონე სახელმძღვანელო ინსტრუქციას და იწვევს მხარეებს, ხელმომწერებსა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს მაქსიმალურად გამოიყენონ ისინი;
2. იწვევს მხარეებს, ხელმომწერებსა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მექანიზმის ეროვნული ქსელის შემუშავების მიზნით, რომელიც უნდა მოიცავდეს კონვენციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ და პრაქტიკულ ინფორმაციას ეროვნულ დონეზე, და რომელიც დაკავშირებულია UNECE-ს ორჰუსის გარემოსდაცვითი დემოკრატიის მექანიზმთან, და სთავაზობს სხვა დაინტერესებულ მხარეებს შესაბამისი ინფორმაცია წარადგინონ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების უწყებაში; და
3. იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების შესახებ სამუშაო ჯგუფის მანდატის გავრცელების შესახებ აღნიშნული სამუშაო პროგრამით:
  - (a) შესაძლებლობების განვითარების საჭიროებების, ბარიერების და გადაჭრის გზების იდენტიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს შესაძლებლობების განვითარების მექანიზმების დანერგვას;
  - (b) საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველსაყოფად საერთო მიდგომებისა და სტანდარტების ფასილიტაცია, რათა მოხდეს სხვადასხვა გეოგრაფიულ და პოლიტიკურ დონეზე არსებულ ინფორმაციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება;
  - (c) კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარება და თემატური კვლევების შესახებ დოკუმენტაციის შემდგომი მომზადება, აღნიშნული გადაწყვეტილების დანართში მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გზით; და

- (d) ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მექანიზმის მხარდაჭერა და შემდგომი განვითარება, მათ შორის სახელმძღვანელო მასალების და სასწავლო სემინარების პროგრამის შემუშავება ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების უწყების ეროვნული ქსელის შესაძლებლობების განვითარების მხარდასაჭერად, სამუშაოების დუბლირების თავიდან აცილების გზით.

## დანართი

### რეკომენდაციები ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების უფრო ეფექტური გამოყენების შესახებ, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით

შეხვედრა რეკომენდაციას უწყვეტ მხარეებს, ხელმომწერებსა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს, გაატარონ შემდეგი ღონისძიებები:

#### I. ზოგადი პოლიტიკა

1. ელექტრონული საშუალებების გამოყენების მიზნით ჩამოაყალიბეთ და განახორციელოთ "ელექტრონული მმართველობის" ეროვნული სტრატეგიები, რათა ხელი შეუწყოს ადმინისტრაციულ პროცესებსა და სერვისებს, გახადოთ საჯარო მმართველობა უფრო გამჭვირვალე და ეფექტური გარემოსთან დაკავშირებული არსებული ინფორმაციის მიწოდებასა და საზოგადოების მხრიდან ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნის განხილვასთან მიმართებაში;
2. მხარი დაუჭირეთ ისეთი სოციალური, ფინანსური და ტექნოლოგიური ბარიერების შემცირებას და შეძლებისდაგვარად გაუქმებას, რომლებიც საზოგადოებას უზღუდავენ სატელეკომუნიკაციო ქსელებზე წვდომას, მაგალითად, მაღალი ღირებულება და უზარისხო კავშირი, აგრეთვე, საბაზისო კომპიუტერული ცოდნის არარსებობა;
3. მხარი დაუჭირეთ და გამოიყენეთ ინფორმაციის ელექტრონული საშუალებები, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოების ჩართულობას და მონიტორინგს გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, მათ შორის:
  - (a) აცნობეთ საზოგადოებას შესაბამისი შესაძლებლობების შესახებ;
  - (b) უზრუნველყავით, რომ საზოგადოებამ შეძლოს შემოთავაზებული საქმიანობის, გეგმების, პროგრამების, პოლიტიკის და იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტების შესახებ საჯაროდ დოკუმენტირებული უკუკავშირის ელექტრონულად განხორციელება; და
  - (c) უზრუნველყავით, რომ ელექტრონულად და არა ელექტრონულად მიღებულ განაცხადებს და კომენტარებს ჰქონდეთ თანაბარი ძალა;
4. მხარი დაუჭირეთ და ჩაერთეთ ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენების შესახებ პოლიტიკის საერთაშორისო დიალოგში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ხელმისაწვდომობას გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებაზე და საზოგადოების მონაწილეობას გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, გამოცდილების გაზიარების, დოკუმენტირების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ნოუ-ჰაუს გადაცემის და ტექნიკური დახმარების გაწევით;
5. შექმენით სქემები ტექნოლოგიებისა და გამოცდილების გადასაცემად, ხოლო დონორი ქვეყნების შემთხვევაში უზრუნველყავით ამ სქემების ფინანსური და ტექნოლოგიური მხარდაჭერა, რათა მოხდეს "ციფრული უთანასწორობის" დაძლევა ან შემცირება, მაგალითად, ორმხრივი პროექტების ან პარტნიორობის გზით;

6. გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია წარადგინეთ მომხმარებელთა საჭიროებების შეფასების საფუძველზე, მონიტორინგი გაუწიეთ მომხმარებლის საჭიროებებთან დაკავშირებული ინფორმაციის ფორმასა და შინაარსს, და შეაფასეთ მიწოდებული ინფორმაციის გავლენა, რაც ხელს შეუწყობს გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და აქტიურ ჩართულობას;

7. ინფორმაცია წარადგინეთ ეროვნულ ენაზე (ენებზე), ხოლო საერთაშორისო საზოგადოებისთვის საინტერესო ინფორმაციის სულ მცირე ძირითადი ნაწილი ინგლისურ ენაზე;

8. მოახდინეთ კონვენციის ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გამოყენების შესახებ კარგი პრაქტიკის დოკუმენტირება, ამ გადაწყვეტილების მე-9(c) პუნქტით განსაზღვრულ სფეროებთან დაკავშირებით და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია გააზიარეთ ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების შესახებ სამუშაო ჯგუფის თემატური კვლევების ონლაინ „გალერეის“ საშუალებით;

## II. ინფორმაციის პრიორიტეტული კატეგორიები

9. უზრუნველყავით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიიღეთ შესაბამისი საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ზომები, რომ კონვენციის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად:

- (a) გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე საჯარო წვდომა უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული ფორმით ისე, რომ კონვენციის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაცია იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული ფორმით, ასეთი მოთხოვნის და ინფორმაციის ამ ფორმით არსებობის შემთხვევაში;
- (b) დოკუმენტები, რომელიც უნდა შედგეს და/ან წარდგენილ იქნეს გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შესახებ, რაც გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლის დებულებებით, წარმოდგენილი იყოს ელექტრონული ფორმით;
- (c) მომხმარებელთა გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, თანდათანობით, გონივრულ ვადებში, ინტერნეტის საშუალებით საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს შემდეგი ინფორმაცია:
  - (i) ანგარიშები გარემოს მდგომარეობის შესახებ;
  - (ii) გარემოს შესახებ ან გარემოსთან დაკავშირებული კანონმდებლობის, რეგულაციების, წესებისა და იურიდიულად სავალდებულო სხვა საშუალებების ტექსტები;
  - (iii) გარემოსთან ან გარემოსთან დაკავშირებულ შეთანხმებებთან დაკავშირებული პოლიტიკის, გეგმებისა და პროგრამების ტექსტები;
  - (iv) გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოს სტრატეგიული შეფასების დოკუმენტები, თუკი ისინი ინახება ელექტრონული ფორმით. ხოლო თუ ისინი არ არის ამ ფორმით, მაშინ მითითება თუ სად შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი ეს დოკუმენტები;
  - (v) მონაცემები დამაბინძურებლების გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამკვებისა და გადატანის შესახებ, დამაბინძურებლების გარემოში გამკვებისა და გადატანის ეროვნული რეესტრის შესახებ ოქმის შესაბამისად;
  - (vi) დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ლიცენზირების ან სანებართვო პროცესის განუყოფელ ნაწილს, რაც გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლის დებულებებით (მაგალითად, ლიცენზიების ან ნებართვების მიღება, მესამე მხარის კომენტარები, პროექტი და საბოლოო ლიცენზია და თანდართული პირობები), თუკი ისინი ინახება ელექტრონული ფორმით. ხოლო თუ ისინი არ არის ამ ფორმით, მაშინ მითითება თუ სად შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი აღნიშნული დოკუმენტები;
  - (vii) ინფორმაცია კონვენციით გათვალისწინებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მექანიზმების შესახებ;
- (d) რამდენადაც ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია და შესაბამეა მომხმარებელთა გამოვლენილ საჭიროებებს, ინტერნეტის საშუალებით გონივრულ ვადებში, თანდათანობით საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს შემდეგი ინფორმაცია:

- (i) გარემოს მონიტორინგის მონაცემები, რომელსაც ფლობენ ან თავად სახელმწიფო ორგანოები ან მათი სახელით სხვები, სივრცითი მახასიათებლების ჩათვლით;
- (ii) ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს გააკეთოს ინფორმირებული გარემოსდაცვითი არჩევანი, ამასთან აუცილებელია კერძო სექტორთან თანამშრომლობა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით;
- (iii) ინფორმაცია კარგი პრაქტიკის შესახებ და სახელმძღვანელო მითითებები გარემოს უკეთესი მართვის შესახებ.
- (iv) შესაბამისი მეტამონაცემები ან საწყისი ინფორმაცია, რათა მონაცემთა შემდგომი მომხმარებლებისთვის გამჭვირვალე იყოს მონაცემთა შეგროვების მეთოდები, პროცესები და სტანდარტები; და
- (v) მეტაინფორმაცია, მათ შორის მონაცემთა წყაროების კატალოგები და საჯარო ხელისუფლების ორგანოებში შენახული ინფორმაციის მოცულობის დეტალები, ასევე, გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები;

10. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში და აღნიშნული რეკომენდაციების მე-9 პუნქტის (c) და (d) პუნქტებში გამოყენებული ტერმინი „თანდათანობით“ უნდა გულისხმობდეს მნიშვნელოვან პროგრესს შემდეგი პარამეტრებთან მიმართებით:

- (a) საზოგადოებაში ადამიანების წილი, ვისაც აქვთ ელექტრონულ ინფორმაციაზე წვდომა;
- (b) ინფორმაციის მოცულობა, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით;
- (c) ელექტრონული ხელმისაწვდომობის ხარისხი;
- (d) ინფორმაციის რეალური გამოყენების დონე;
- (e) მომხმარებელთა საჭიროებების გაგების დონე;
- (f) მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილების დონე;

და რომ აღნიშნული პროგრესის შესახებ უნდა ეცნობოს საზოგადოებას.

### III. ინსტიტუციური განვითარება და შესაძლებლობების გაძლიერება

11. გარემოსთან დაკავშირებული საინფორმაციო ცენტრების ან ინფორმაციის ექვივალენტური წყაროების შექმნა ფიზიკურ და/ან ვირტუალურ გარემოში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და საზოგადოების მონაწილეობას გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში;

12. ინტერნეტზე წვდომის საზოგადოებრივი ადგილების შექმნითა და შენარჩუნებით ელექტრონულად შენახულ გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წახალისება;

13. უნივერსალური წვდომის პუნქტ(ებ)ის უზრუნველყოფა მოქალაქეებზე ორიენტირებული და გარემოსთან დაკავშირებული ელექტრონული მმართველობის სერვისებისთვის, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების კოორდინირებული ჩართულობისა და/ან სხვა მსგავს საიტებზე გადამისამართების გზით;

14. ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების გამოსაყენებლად განავითარეთ ადამიანური შესაძლებლობები, რათა ხელი შეუწყოს კონვენციის განხორციელებას საჯარო მოხელეების ყოვლისმომცველი და პერსპექტიული ტრენინგისა და განათლების სტრატეგიების მეშვეობით;

15. ეცადეთ განავითაროთ საჯარო ხელისუფლების ინსტიტუციური შესაძლებლობები, რათა შეაგროვოთ, მოაწესრიგოთ, შეინახოთ და გაავრცელოთ გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე მორგებული ფორმით;

16. უზრუნველყავით ამ მონაცემებისა და ინფორმაციის საყოველთაოდ კითხადი, მომხმარებელზე მორგებული და ადვილად გადასაცემი ფორმატების არსებობა;

17. შეიმუშავეთ და განახორციელეთ გარემოსთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი პროგრამები, მათ შორის სპეციალური სასწავლო პროგრამები, რომლებიც ინფორმაციული ტექნოლოგიის პროგრამების გამოყენებას აკავშირებენ გარემოს კარგი მმართველობის ხელშეწყობასთან.

18. საზოგადოების მიერ გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ხელი შეუწყეთ ელექტრონული საშუალებების შემუშავებასა და გამოყენებაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვას, რომლებიც წარმოადგენენ როგორც ინფორმაციის მიწოდებლებს, ასევე მომხმარებლებს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებს;

#### **IV. ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მექანიზმი**

19. შეავსეთ ეროვნული ვებგვერდი ისეთი ინფორმაციით, რომელიც ეხება კონვენციის განხორციელებას ქვეყნის მასშტაბით, და შეასრულებს კონვენციის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მექანიზმის ეროვნული ქსელის როლს.

20. შექმენით საკონტაქტო პუნქტები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ეროვნულ დონეზე არსებული ინფორმაციის შეგროვებაზე, მართვასა და განახლებაზე, ასევე, კონვენციის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მექანიზმის ცენტრალური ქსელში საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე, და აიღებენ ვალდებულებას, საზოგადოებაში გაავრცელონ ინფორმაცია ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მექანიზმის შესახებ;

21. განავითარეთ საჯარო მოხელეების უნარები, რომლებიც მართავენ და აახლებენ ინფორმაციას ეროვნული ქსელისთვის, ასევე გაზარდეთ შესაძლებლობები ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მექანიზმის ცენტრალური ქსელისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.